გიორგი ჭყოიძე,[1] ვახტანგ მჭედლიძე[2]

სამუდამო პატიმრობა, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის შესაძლო დარღვევა

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა უვადო თავისუფლების აღკვეთისა და ადამიანის უფლებებს შორის კავშირის შესწავლა. კვლევის პროცესში მიმოხილულ იქნა ორი მთავარი კომპონენტი: არის თუ არა უვადო თავისუფლების აღკვეთა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დამნაშავეს არ აქვს საშუალება გამოისყიდოს თავისი დანაშაული, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა და რა დამოკიდებულა აქვს სასამართლოს ამ საკითხთან მიმართებით თავისი პრაქტიკიდან გამომდინარე.

ნაშრომის ფარგლებში განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მესამე მუხლის შემადგენელი ქმედებები. გაანალიზებულია აღნიშნული მუხლის თითოეული კომპონენტი, რომლებიც დაკავშირებულია უვადოდ თავისუფლების აღკვეთის საკითხთან. Vinter and Others v. the United Kingdom - ის საქმემ დაამტკიცა, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა შესაძლოა განხილული იყოს, როგორც კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. აღნიშულ საკითხზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია მხედველობაში მიღებულ იქნას ორი კომპონენტი: 1) უვადო პატიმრობა არ უნდა იყოს მიჩნეული მხოლოდ სასჯელად, თუ იგი დამნაშავეს არ აძლევს დანაშაულის გამოსყიდვის საშუალებას. 2) უვადო პატიმრობა შეუსაბამოა ადამიანის ღირსებასთან, რადგანაც ინდივიდს ერთმევა თავისუფლება, მისი დაბრუნების ყველანაირი იმედის გარეშე, რაც პატიმარს მუდმივი შფოთვის ქვეშ ტოვებს.

საკვანძო სიტყვები: *სამუდამო პატიმრობა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, უხეში მოპყრობა.*

Abstract

This article aimed to explore the relationship between life imprisonment and human rights concerning inhuman or degrading treatment or punishment. It had two major purposes: (1) to investigate whether life imprisonment, especially life imprisonment without the possibility of parole, can be seen as having inhuman or degrading nature (2) to demonstrate the potential cases where the crucial factors concerning the existence of inhuman or degrading nature are shown.

The article provided an overview of Article 3 of the European Convention of Human Rights and relevant case law. The case of Vinter and Others v. the United Kingdom demonstrated that life imprisonment can violate Article 3 of the convention. It is important to consider two important topics with regard to this case: 1) the life sentence could not be considered just punishment as it provided the prisoner with no opportunity for atonement; 2) such sentences were incompatible with the respect for human dignity of individuals, as forcibly depriving the prisoner of his freedom without providing hope of ever regaining it leaves the prisoner in a constant state of anxiety.

Keywords: *Life imprisonment, European Convention on Human Rights, ill-treatment.*

შესავალი

უვადო თავისუფლების აღკვეთა უმრავლეს ქვეყანაში სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრულ სასჯელს

[1] თსუ იურუდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის მე-2 კურსის სტუდენტი. ელ. ფოსტა:Giorgi.Chkoidze9657@law.tsu.edu.ge.

[2] თსუ იურუდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის მე-2 კურსის სტუდენტი. ელ. ფოსტა:Vakhtang.Mchedlidze352@law.tsu.edu.ge.

წარმოადგენს. ბუნებრივია, ეს უკიდურესი ზომა გამოიყენება კონკრეტული დანაშაულების ჩადენის შემთხვევაში. სტატიის მიზანია აჩვენოს, თუ რამდენად შეესაბამება სასჯელის ეს ფორმა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას (ECHR), კერძოდ კი მის მე-3 მუხლს.

ნაშრომის ფარგლებში, უპირველეს ყოვლისა, განხილული იქნება მესამე მუხლის შემადგენელი ქმედებები. კერძოდ, ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა და ასეთი მოპყრობა. გაანალიზებული იქნება თითოეული მათგანის შემადგენელი კომპონენტები და, შედეგად, მოხდება ჩამოთვლილი ქმედებების დაკავშირება სამუდამო პატიმრობის საკითხთან.

შემდეგ ეტაპზე, ნაშრომი შეძლებისდაგვარად დეტალურად მიმოიხილავს პრაქტიკას და იმ პროგრესს, რაც წლების მანძილზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) შრომის შედეგად იქნა მიღწეული. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საქმეს *Vinter and Others v. the United Kingdom*, რომელიც დეტალურად შეეხო სტატიის მთავარ თემას. მიმოხილული იქნება ამ საქმის განხილვამდე და მის შემდგომ არსებული სასამართლო პრაქტიკა, რათა მკითხველის მიერ დინამიკურად იქნას აღქმული ნაშრომში დასმული პრობლემა. საბოლოო ეტაპზე კი ნაშრომი მიმოიხილავს სავარაუდო ცვლილებებს და იმ ნაბიჯებს, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს მომავალში სამუდამო პატიმრობის საკითხთან დაკავშირებით.

1. ადამიანს უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მიმოხილვა

წამების აკრძალვა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ მთავარ ფუნდამენტურ ნორმას. მისი მნიშვნელობა იმდენად დიდია საერთაშორისო საზოგადოებისთვის, რომ იგი მიჩნეულ იქნა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილად და ითვლება *jus cogens* ნორმად. აღნიშნულ თავში მოკლედ იქნება მიმოხილული წამების აკრძალვის ნორმა, ზოგადად იქნება შეფასებული მისი კომპონენტები და მათი განსხვავებები ერთმანეთისგან.

წამების აკრძალვის შესახებ დებულებები ისეთ საერთაშორისო ხელშეკრულებებშია მოცემული, როგორიცაა: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ჟენევის კონვენციები, წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის აკრძალვის შესახებ 1987 წლის ევროპული კონვენცია და ა. შ. აღნიშნული სტატიის ფარგლებში მიმოხილული იქნება მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. აღნიშნული კონვენციის მიხედვით, „ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია“.[3] მე-3 მუხლი ჩამოყალიბებულია როგორც აბსოლუტური და შეუზღუდავი დებულება. აღნიშნულ მუხლში არ არსებობს დებულებები, რომლებიც გაწერენ წამების ნებადამრთველ შემთხვევებს. შესაბამისად, არ არსებობს გამართლება იმ ქმედებისა, რომელიც არღვევს ამ ნორმას.

ყველა სახის უხეში მოპყრობა არ უნდა იქნეს შეყვანილი მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში. არასათანადო მოპყრობამ უნდა მიაღწიოს გარკვეულ მინიმალურ ზღვარს, რათა ამოქმედდეს მე-3 მუხლის ნორმა. საქმეში *Ireland v. United Kingdom* განიმარტა, რომ სისასტიკის მინიმალური ზღვარი შეფარდებითია და მხედველობაში უნდა იყოს მიღებული საქმის ყველა გარემოება, იქნება ეს მოქმედების ხანგრძლივობა, მსხვერპლის სქესი, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა.შ.[4] მნიშვნელოვანია ასევე სოერინგის საქმის ხსენებაც, სადაც აღინიშნა, რომ „სისასტიკე დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე,

[3] European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, as amended by Protocols Nos. 11 and 14, Council of Europe, 4 November 1950, ETS 5.

[4] *Ireland v. the United Kingdom*, 18 January 1978, Series A no. 25, პუნქტი 162.

როგორიცაა: მოპყრობისა თუ დასჯის ხასიათი და კონტექსტი, მისი აღსრულების ხერხი და მეთოდი".[5]

მე-3 მუხლზე მსჯელობისას, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს შემდეგი ხუთი კომპონენტი: წამება, არაადამიანური, დამამცირებელი, მოპყრობა და დასჯა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამების საწინააღმდეგო კონვენციის პირველ მუხლში მოცემულია წამების განსაზღვრება, რომლის თანახმადაც, „წამება" ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც პირს განზრახ მიეყენება ძლიერი ფიზიკური ან სულიერი ტკივილი ან ტანჯვა, ისეთი მიზნებით, როგორიცაა მისგან ან მესამე პირისგან ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, მისი დასჯა ქმედებისთვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც ეჭვმიტანილია, მისი ან მესამე პირის დაშინება ან იძულება დისკრიმინაციული მიზეზებიდან გამომდინარე.[6] აღნიშნული განმარტებიდან შესაძლებელია წამებისთვის დამახასიათებელი ნიშნების გამოყოფა: სასტიკი, სულიერი თუ ფიზიკური ტანჯვის მიყენება და ტანჯვის მიყენების მიზანმიმართულობა.

ქმედება, რომელსაც არ გააჩნია საკმარისი ინტენსიურობა წამებად კვალიფიკაციისთვის, დაკვალიფიცირებული იქნება, როგორც არაადამიანური ან დამამცირებელი. არაადამიანური მოპყრობის ცნება, როგორც მინიმუმ, მოიცავს ქმედებას, რომელიც მიზანმიმართულად იწვევს ძლიერ სულიერ ან ფიზიკურ ტანჯვას, რაც გაუმართლებელია.[7] დამამცირებლად ჩაითვლება ქმედება, რომელიც მსხვერპლში იწვევს შიშის, ტკივილისა და არასრულფასოვნების განცდას, ან არღვევს აღნიშნული პირის ფიზიკურ თუ სულიერ ხელშეუვალობას, ან იმოქმედოს თავისი სინდისის საწინააღმდეგოდ.[8] ასევე, მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს მსხვერპლის ასაკი, სქესი. ქმედების დამამცირებლად კვალიფიკაციისთვის საკმარისია მსხვერპლი დამცირებულად გრძნობდეს თავს, აღნიშნულ შემთხვევაში მესამე პირების მხრიდან შეფასება არ არის მნიშვნელოვანი.

დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობას შორის განსხვავებებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია ვახსენოთ საქმე *Pretty v. The United Kingdom*, რომლის მიხედვითაც, „მოპყრობა მიიჩნევა არაადამიანურად, როდესაც ის არის წინასწარი განზრახვით ჩადენილი, სისასტიკის მინიმალურ ზღვარს ცდება და იწვევს სხეულის რეალურ დაზიანებას ან ძლიერ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტანჯვას, ხოლო როდესაც მოპყრობა შეურაცხყოფს ან ამცირებს პირს, გამოხატავს რა პატივისცემის ნაკლებობას ან აკნინებს მის ღირსებას ან აღძრავს მასში შიშის, ტანჯვისა და არასრულფასოვნების ისეთი ხარისხის განცდას, რომელსაც შეუძლია მისი მორალური თუ ფიზიკური გამძლეობის გატეხვა, აღნიშნული უნდა შეფასდეს როგორც დამამცირებელი მოპყრობა".[9] დამამცირებელი მოპყრობა უფრო უნდა გაიგივდეს შეურაცხყოფასთან, მაშინ როდესაც არაადამიანური მოპყრობა გარკვეულწილად უტოლდება წამებას და შემსუბუქებული ფორმით წამების სხვადასხვა ნიშნებითაც ხასიათდება.

2. სამუდამო პატიმრობა, როგორც სასჯელის ერთ-ერთი ფორმა

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში სამუდამო პატიმრობა და, ზოგადად, სასჯელის თემატიკა საფუძვლიანად არაა განხილული. თუმცა, რადგანაც სიკვდილით დასჯამ დროთა განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით გაქრობა დაიწყო, უვადო თავისუფლების აღკვეთის აქტუალობამ

[5] *Soering v. the United Kingdom*, 7 July 1989, Series A no. 161, პუნქტი 100.

[6] UN General Assembly, Convention Against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment, 10 December 1984, United Nations, Treaty Series, vol. 1465, მუხლი 1.

[7] *The Greek Case*, No.3321/67 and Others, EcommHR, 20 September 1967.

[8] *იქვე,* გვერდი 186, *Ireland v. the United Kingdom*, პუნქტი 167.

[9] *Pretty v. the United Kingdom*, #2346/02, § 52, ECHR 2002-III.

შედარებით მოიმატა.[10] სამუდამო პატიმრობის განმარტება გარკვეულ დაბრკოლებებთანაა დაკავშირებული, რადგანაც მრავალ სიტუაციას მოიცავს. ზოგადად, „სამუდამო პატიმრობა" არის სასჯელი, რომელიც თან სდევს მსჯავრდებას. შედეგად, სახელმწიფოს აქვს ძალაუფლება, დააკავოს პირი და ამყოფოს ციხეში სიცოცხლის ბოლომდე - მანამ, სანამ პირი არ გარდაიცვლება.[11] ეს განმარტება მოიცავს უვადო პატიმრობის გარკვეულ ტიპებს, რომლებიც გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. არსებობს უვადო პატიმრობის ორი ძირითადი ტიპი. კერძოდ, როდესაც შესაძლოა პირობითი გათავისუფლება და როდესაც ამგვარი შესაძლებლობა არ არსებობს. ამ ორის ფარგლებში კიდევ შეიძლება გამოიკვეთოს ცალკეული შემთხვევები ინდივიდუალური მახასიათებლებით. აუცილებელია აღინიშნოს, რომ უვადო პატიმრობის განმარტების ფარგლებში შესაძლოა მოექცეს ისეთი სასჯელებიც, რომლებიც ცხადლივ არ გულისხმობენ სამუდამო პატიმრობას, თუმცაღა არაფორმალურად უტოლდებიან ამ უკანასკნელს. [12]

პირის სამუდამო პატიმრობაში ყოფნის იდეა, განსხვავებით უვადო პატიმრობისგან, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტული ვადის დადგომისას პირისთვის გათავისუფლების შანსის მიცემას, ბადებს გარკვეულ შეკითხვებს პატიმრის ღირსების უფლებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ ორი მთავარი სამსჯელო საკითხი:

1. უნდა ჰქონდეთ ხელშემკვრელ მხარეებს უფლება, შიდა კანონმდებლობის დონეზე მოაწესრიგონ ეს კონკრეტული სფერო თუ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უნდა ჩამოაყალიბოს სახელმძღვანელო წესები, რომლებიც დაფუძნებული იქნება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებზე.

2. რა ხარისხით უნდა წარუდგინოს შიდა კანონმდებლობამ გასაგები ინსტრუქციები პატიმრებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს იმ ფაქტორების თაობაზე, რაც გათვალისწინებულია უვადო პატიმრობის საკითხის განხილვისას.[13]

ეს საკითხები რამდენჯერმე იქნა განხილული ECtHR-ის მიერ, რის შედეგადაც სასამართლო შეეცადა განემარტა, როდის და როგორ შეიძლება იყოს უვადო თავისუფლების აღკვეთა კონვენციის მესამე მუხლში ჩამოყალიბებულ აბსოლუტურ უფლებებთან თანხვედრაში და ხელყოფს თუ არა სამუდამო პატიმრობა ამ უფლებებს. სასამართლომ შეიმუშავა საინტერესო კრიტერიუმები, რომლებიც კონვენციის ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ, რათა უვადო პატიმრობა კონვენციისეულ სტანდარტებს შეესაბამებოდეს. იმისათვის, რომ დადგინდეს კავშირი ადამიანის ღირსებასა და მესამე მუხლში მითითებულ წამებას, არაადამიანურ თუ დამამცირებელ დასჯასა ან ასეთ მოპყრობას შორის, აუცილებელია სასამართლოს გარკვეული გადაწყვეტილებების ანალიზი, რაც სტატიის მომდევნო ნაწილში იქნება შემოთავაზებული.

3. სასამართლო პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში სამუდამო პატიმრობას ნაკლები ყურადღება ეთმობა. სიკვდილით დასჯის შემდეგ, უვადო პატიმრობა ერთ-ერთ მთავარ გამოსაკვლევ საკითხს წარმოადგენს. უვადოდ

[10] Bernaz, N., 'Life Imprisonment and the Prohibition of Inhuman Punishments in International Human Rights Law: Moving the Agenda Forward', 35 Human Rights Quarterly, 2013, 470.

[11] Smit, D.V.Z and Appleton, Life Imprisonment: A Global Human Rights Analysis, Harvard University Press, 2019, 35.

[12] *იქვე*, 36.

[13] Foster, S.H., 'Whole Life Sentences and Article 3 of the European Convention on Human Rights: Time for Certainty and a Common Approach?', 36 Liverpool Law Review, 2015, 148.

თავისუფლების აღკვეთა სახელმწიფოს ანიჭებს უფლებამოსილებას, დამნაშავეს მიუსაჯოს უვადო პატიმრობა იქამდე, სანამ ის არ მოკვდება.[14] გამოყოფენ უვადო პატიმრების ორ სახეს: უვადო პატიმრობა, რომელიც მოიცავს მსჯავრდებულის ვადამდელ გათავისუფლებას და მეორე, რომელიც არ შეიცვას აღნიშნულ დებულებას.[15] აღნიშნულ ქვეთავში მიმოხილული იქნება სასამართლო პრაქტიკა, უვადო პატიმრობის მიმართება კონვენციის მე-3 მუხლთან, უფრო დეტალურად კი, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასთან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პირველად სასამართლომ იმსჯელა საქმეში *Kotälla v. The Netherlands*.[16] სასამართლომ განმარტა, რომ უვადო პატიმრობა წარმოადგენდა სიკვდილით დასჯის ჩანაცვლებას, თუმცა მას არ ჰქონდა ზუსტი პასუხი იმის შესახებ წარმოადგენდა თუ არა იგი მე-3 მუხლის დარღვევას.[17] მე-3 მუხლთან მიმართებით სასამართლომ ისაუბრა საქმეში *Kafkaris v. Cyprus*.[18] სასამართლომ განმარტა, რომ არა უვადო პატიმრობა, როგორც დანაშაული წარმოადგენდა მე-3 მუხლის დარღვევას, არამედ შეუმცირებელი უვადო თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენდა შეუსაბამობას მე-3 მუხლთან. აღნიშნული მოიცავს შემთხვევებს, როდესაც დამნაშავეს არ აქვს გათავისუფლების იმედი.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას წარმოადგენს *Vinter v. United Kingdom*.[19] სასამართლომ დაადგინა, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა განხილვისა და გათავისუფლების რეალური პერსპექტივების გარეშე იყო კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. გარდა ამისა, დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობა ეწინააღმდეგებოდა მე-3 მუხლს, ვინაიდან სახელმწიფოს არ ჰქონდა საკმარისი უფლებამოსილება უვადო პატიმრობის საქმის განსახილველად.[20] აღნიშნულ საქმეში მოსარჩელე მხარე დავობდა, რომ უვადო პატიმრობა წარმოადგენდა არაადამიანურ მოპყრობას და იყო კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. თავდაპირველად სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელე მხარის მოთხოვნები და განაცხადა, რომ სასჯელი იყო ქმედების პროპორციული.[21] აღნიშნული გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, სადაც სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ზემოხსენებულ დებულებებზე გათავისუფლების იმედის მიცემასთან დაკავშირებით.

სასამართლოს გადაწყვეტილება *Vinter*-ის საქმეზე დამოკიდებული იყო რამდენიმე ფაქტორზე.: 1) უვადო პატიმრობა არ უნდა იყოს მიჩნეული მხოლოდ სასჯელად, თუ იგი დამნაშავეს არ აძლევს დანაშაულის გამოსყიდვის საშუალებას. ასევე, 2) უვადო პატიმრობა შეუსაბამოა ადამიანის ღირსებასთან, რადგანაც ინდივიდს ერთმევა თავისუფლება, მისი დაბრუნების ყველანაირი იმედის გარეშე, რაც პატიმარს მუდმივი შფოთვის ქვეშ ტოვებს.

Vinter-ის საქმე ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ იმ საქმეთაგან, რომელშიც საუბარია უვადო პატიმრობის საკითხზე. აღნიშნულ საქმეში უფრო დეტალურად იქნა წარმოჩენილი ამგვარი პატიმრობის მიმართება კონვენციის მე-3 მუხლთან. უვადო პატიმრობა შეფასებული იქნა ინდივიდის ღირსებასთან ერთად და სახელმწიფოსთვის მოხდა ისეთი ვალდებულების დაკისრება, რომელიც მოიცავს პატიმრებისთვის რესოციალიზაციის საშუალებას ჩადენილი დანაშაულის გამოსყიდვის შემდგომ.

---

[14] იხილეთ შენიშვნა 10, 35.

[15] *იქვე.*

[16] *Kotälla v. Netherlands*, App. No. 7994/77, ECommHR Dec. 238 (1978).

[17] *იქვე,* პარაგრაფი 241.

[18] *Kafkaris v. Cyprus* [GC], no. 21906/04, ECHR 2008.

[19] *Vinter and Others vs United Kingdom*, Applications nos. 66069/09, 130/10 and 3896/10, 9 July 2013.

[20] *Stafford v. the United Kingdom* [GC], no. 46295/99, ECHR 2002-IV.

[21] *Vinter and Others v. the United Kingdom*, nos. 66069/09 and 2 others, 17 January 2012.

Vinter-ის საქმის შემდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთი შემთხვევა განიხილა, რომელიც უვადო პატიმრობას შეეხებოდა. ერთ-ერთი მათგანია *Viola v. Italy*.[22] აპლიკანტი მხარე იყო მაფიის უფროსი, რომელიც ჩართული იყო სხვადასხვა დანაშაულებრივ ქმედებებში, მათ შორის მკვლელობაში, გატაცებაში და ა. შ. ამ დანაშაულების გამო მას მიესაჯა უვადო პატიმრობა. იტალიის კანონმდებლობა ითვალისწინებს მსჯავრდებულის ვადამდელ გათავისუფლებას სახელმწიფოსთან კოოპერაციის შემთხვევაში. სასამართლომ განმარტა, რომ ეს დებულება მოდიოდა წინააღმდეგობაში მე-3 მუხლთან. როგორც უკვე აღინიშნა, უვადო პატიმრობა კონვენციის მე-3 მუხლთან იმ შემთხვევაშია შესაბამისი, თუ არსებობს დანაშაულის შეფასების სათანადო სისტემა. მართალია, იტალიის კანონმდებლობა ითვალისწინებს სასჯელის შემცირებას, მაგრამ იგი დაკავშირებულია კონკრეტულ პირობასთან - სახელმწიფოსთან თანამშრომლობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას დამნაშავე პირებს ან მათი ოჯახის წევრების სიცოცხლეს.[23]

4. იმედის ქონის უფლება და სამომავლო პერსპექტივები

პატიმრისთვის იმედის ქონის უფლება მიუთითებს იმ იმედზე, რომელიც შეიძლება გააჩნდეს პირს გათავისუფლებასთან დაკავშირებით. ეს უფლება შესანიშნავადაა განმარტებული დიდი პალატის გადაწყვეტილებაში *Vinter*-ის საქმეზე. ეს უკანასკნელი და მისი თანმდევი საქმეები, დაკავშირებული სამუდამო პატიმრობასთან, ხორცს ასხამს იმედის ქონის უფლებას და მიუთითებს, რომ ამ ტიპის სასჯელის დაწესება უნდა მოიაზრებდეს ციხიდან გათავისუფლების შესაძლებლობასაც.[24] დიდმა პალატამ *Vinter* - ის საქმეში ხაზი გაუსვა, რომ პატიმრებს სჭირდებათ გათავისუფლების ნამდვილი იმედი, რომლის არსებობაც შეიძლება ქვეყნის შიგნით სათანადო მექანიზმების უზრუნველყოფის შემთხვევაში. ასეთი იმედის არარსებობის დროს კი ფაქტობრივად დადგება კონვენციის მესამე მუხლის დარღვევა.

დანაშაულის მიუხედავად, პატიმრებს უნდა გააჩნდეთ რეაბილიტაციის უფლება მთელი თავიანთი სასჯელის პერიოდში იმ იმედით, რომ ისინი კვლავ დაუბრუნდებიან საზოგადოებას.[25] ეს საკითხი საკამათოა, თუმცა დიდი პალატა სავარაუდოდ იმაზე უთითებს, რომ რეაბილიტაციაზე კონცენტრაცია მეტი მოტივაციის მიმცემია პატიმრებისთვის და ხელს უწყობს მათ სოციალურ რეინტეგრაციას.[26] ECtHR ხაზს უსვამს რეაბილიტაციის პრინციპის მთელს ევროპაში გავრცელების მასშტაბს.[27] მოსამართლე ფაუერ-ფორდი აღიარებს, რომ კონვენციის მესამე მუხლი მოიცავს იმედის ქონის უფლებას და მიუთითებს, რომ გათავისუფლების შანსის ქონის გარეშე პატიმრის ცხოვრება ვერ წარიმართება უკეთესობისკენ.[28]

იმედის მიცემა იმ პატიმართათვის, რომლებიც იხდიან სამუდამო პატიმრობის სასჯელს, არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ისინი ერთ დღესაც სოციუმს დაუბრუნდებიან. იმედის არსებობას უშუალო კავშირი აქვს ადამიანის ღირსების დაცვასთან და არა იმ ფაქტთან, რომ ისინი აუცილებლად დააღწევენ თავს პატიმრობას. ყველას, მსჯავრდებული პატიმრების ჩათვლით, აქვს ღირსების დაცვის უფლება. მიზეზი, რატომაც მახვილდება ღირსებაზე ყურადღება არის ის, რომ სახელმწიფომ პატიმრები არ აღიქვას ობიექტებად ან სტატისტიკად.

---

[22] *Viola v. Italy* (N°2) App. 77633/16, 13 June 2019.

[23] Minervini, G., 'Viola v. Italy: A First Step Towards the End of Life Imprisonment in Italy' (2019) 29 IYIL, 222.

[24] იხილეთ შენიშვნა 19.

[25] Smit, D.V.Z., Weatherby P. and Creighton, S., 'Whole Life Sentences and the Tide of European Human Rights Jurisprudence: What Is to Be Done?', 14 HRLR, 2014, 62.

[26] *იქვე.*

[27] იხილეთ შენიშვნა 5.

[28] იხილეთ შენიშვნა 5, (Judge Power-Forde,A., Concurring Opinion).

სამწუხაროდ, მსჯელობას სამუდამო პატიმრობის თაობაზე სანუკვარ შედეგამდე, კერძოდ, ამ კონკრეტული სასჯელის აღმოფხვრამდე არ მივუყვანივართ. ECtHR თავის გადაწყვეტილებებში ყურადღებას ამახვილებს უშუალოდ ღირსებაზე. სამუდამო პატიმრობა, როგორც ასეთი, მისაღებია, თუ დაცული იქნება გარკვეული პირობები. აღმოიფხვრება კი სასჯელის ეს ფორმა? ამ ეტაპზე პასუხის გაცემა შეუძლებელია, თუმცა არის გარკვეული მაგალითები, რომლებიც იმედის მომცემად შეიძლება ჩაითვალოს.

მსოფლიოს მრავალ სამართლებრივ სისტემაში არსებობს სამუდამო პატიმრობის აბსოლუტური აკრძალვა ბავშვებთან მიმართებით. სასჯელის მსგავსი ფორმის ამკრძალავი ინსტრუმენტი არსებობს საერთაშორისო სამართალშიც.[29] საყურადღებოა აგრეთვე ის ფაქტიც, რომ მოხუცებულებისთვის გარკვეულ სამართლებრივ სისტემებში სამუდამო პატიმრობის მისჯა ან არ ხდება, ან სულ მცირე, ნაწილობრივ შეზღუდულია. ასეთი ქვეყნებია მაგალითად რუმინეთი და რუსეთი. ამგვარი მიდგომის მიზეზი არის ის, რომ მოხუცებისთვის სამუდამო პატიმრობის მისჯისას აღარ არსებობს რეალური და აშკარა იმედი გათავისუფლებისა.[30]

რიგი ქვეყნები მკაცრად კრძალავენ სამუდამო პატიმრობის გამოყენებას ქალებზე. არის ისეთი ქვეყნებიც, სადაც ეს ტიპის სასჯელი არ გამოიყენება ყრუ-მუნჯ დამნაშავეებზეც (მაგ: მალტა, საბერძნეთი). ქალთა მიმართ სამუდამო პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით საინტერესოა ECtHR-ის საქმე *Khamtokhu and Aksenchik v. Russia*, სადაც აპლიკანტები აპელირებდნენ, რომ მათთვის მისჯილი სამუდამო პატიმრობა დისკრმინაციული იყო. სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა, რადგანაც არსებობდა შანსი იმისა, რომ რუსეთს ქალებიც მოეაზრებინა სამუდამო პატიმრობის სუბიექტებში ნაცვლად მამაკაცებისთვის ამ სასჯელის გაუქმებისა. შესაძლოა ითქვას, რომ იმ სუბიექტთა კატეგორიზაცია, რომელთათვისაც სამუდამო პატიმრობის მისჯა აკრძალულია, გარკვეული წინგადადგმული ნაბიჯია სამუდამო პატიმრობის აღმოფხვრის მიმართულებით, თუმცაღა მომავალი ამ ეტაპზე მაინც ბუნდოვანია.

დასკვნა

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ უვადო პატიმრობამ, შესაძლოა, გამოიწვიოს ადამიანის ღირსების შელახვა კონკრეტულ შემთხვევებში. მიუხედავად იმისა, რომ თავად უვადო პატიმრობა არ წარმოადგენს ადამიანის უფლებების დარღვევას, ზოგიერთ შემთხვევაში იგი შეიძლება აჭარბებდეს პროპორციულობის საზღვრებს და უტოლდებოდეს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. როგორც უკვე აღინიშნა, სასჯელის ხელახლა განხილვისა და მისი შემსუბუქების შესაძლებლობა უნდა არსებობდეს უვადო პატიმრობის დროს. სასჯელის შემცირების პირობები და გარემოებები უნდა იქნეს ზუსტად და კონკრეტულად გაწერილი. ასევე, სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

დამნაშავის რესოციალიზაცია უნდა წარმოადგენდეს ერთ-ერთ მთავარ მიზანს. სიკვდილის დასჯა ჩანაცვლდა უვადო პატიმრობით, რადგან იგი ეწინააღმდეგებოდა სიცოცხლის უფლების ნორმებს და იყო შედარებით ნაკლებად მკაცრი სასჯელი. უვადო პატიმრობა უკარგავს პიროვნებას ყველანაირ სურვილს და შესაბამისად, უვადო პატიმრობა კვლავ შეიძლება გაუტოლდეს სიკვდილით დასჯას. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ უვადო პატიმრობა კვლავ კვლევის საგანს წარმოადგენს, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს. ადამიანის უფლებებს შეუძლია გახდეს საშუალება, რომელიც დაუპირისპირდება უვადო პატიმრობას. აღნიშნული საკითხის კვლევაში კი განსაკუთრებული როლი უკავია ადამიანის

[29] UN General Assembly, Convention on the Rights of the Child, 20 November 1989, United Nations, Treaty Series, vol. 1577, 3.

[30] იხილეთ შენიშვნა 10, 111.

უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რადგან საჭიროა სასამართლოს მიერ მეტი მსგავსი თემატიკის საქმის განხილვა, რაც ნაშრომში დასმული კითხვის უფრო დეტალური შესწავლის საფუძველს შექმნის.

ბიბლიოგრაფია

1. Bernaz, N., 'Life Imprisonment and the Prohibition of Inhuman Punishments in International Human Rights Law: Moving the Agenda Forward', 35 Human Rights Quarterly, 2013.
2. Foster, S.H., 'Whole Life Sentences and Article 3 of the European Convention on Human Rights: Time for Certainty and a Common Approach?', 36 Liverpool Law Review, 2015.
3. Minervini, G., 'Viola v. Italy: A First Step Towards the End of Life Imprisonment in Italy' (2019) 29 IYIL.
4. Smit, D.V.Z. and C. Appleton, Life Imprisonment: A Global Human Rights Analysis, Harvard University Press, 2019.
5. Smit, D.V.Z., P. Weatherby and S. Creighton, 'Whole Life Sentences and the Tide of European Human Rights Jurisprudence: What Is to Be Done?', 14 HRLR, 2014.
6. Ireland v. the United Kingdom, 18 January 1978, Series A no. 25.
7. Kafkaris v. Cyprus [GC], no. 21906/04, ECHR 2008.
8. Kotälla v. Netherlands, App. No. 7994/77, ECHR Dec. 238 (1978).
9. Pretty v. the United Kingdom, #2346/02, ECHR 2002-III.
10. Prosecutor v. Delacic and Others (Trial Judgement), IT-96-21-T, International Criminal Tribunal for the former Yugoslavia (ICTY), 16 November 1998.
11. Soering v. the United Kingdom, 7 July 1989, Series A no. 161.
12. Stafford v. the United Kingdom [GC], no. 46295/99, ECHR 2002-IV.
13. The Greek Case, No.3321/67 and Others, EcommHR, 20 September 1967.
14. Vinter and Others v. the United Kingdom [GC], nos. 66069/09 and 2 others, ECHR 2013.
15. Vinter and Others v. the United Kingdom, nos. 66069/09 and 2 others, 17 January 2012.
16. Viola v. Italy (N°2) App. 77633/16, 13 June 2019.
17. European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, as amended by Protocols Nos. 11 and 14, Council of Europe, 4 November 1950, ETS 5.
18. UN General Assembly, Convention Against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment, 10 December 1984, United Nations, Treaty Series, vol. 1465.
19. UN General Assembly, Convention on the Rights of the Child, 20 November 1989, United Nations, Treaty Series, vol. 1577.